

## სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ გამოვლენილი ქმედებები (2014-2018 წ.)

ადამიანის უფლებათა ცენტრი წინამდებარე დოკუმენტში ყურადღებას ამახვილებს სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტებისადმი მომსახურების განწევსას გამოვლენილ პრობლემურ საკითხებზე. ორგანიზაციას 2014-2018 წლებში წარმოებაში ჰქონდა არაერთი საქმე, რომლებმაც წარმოაჩინა, რომ ექიმების მხრიდან პაციენტებისადმი არასათანადო სამედიცინო დახმარების განწევს მიზეზი ხშირად გაუფრთხილებლობა, არაკვალიფიციურობა და პაციენტისადმი გულგრილი დამოკიდებულებაა.

სამედიცინო მომსახურების განწევსას პაციენტსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის წარმოიშობა სახელმძღვანელო ურთიერთობა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის თანახმად უნდა ეფუძნებოდეს კეთილსინდისიერების, სამართლიანობისა და თანაგრძნობის პრინციპს, ვინაიდან მეორე მხარეს ადამიანის სიცოცხლეა.

- ჯანმრთელობის დაცვის პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს პროფესიული ეთიკის ნორმებით;
- იმოქმედოს მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად;
- არ გამოიყენოს თავისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება ჰუმანიზმის პრინციპებისა წინააღმდეგოდ;
- პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი,
- არ იმოქმედოს ანგარებით;

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი ანალიზი ეფუძნება ეფექტიანობის, ხარისხისა და სათანადო სამედიცინო მომსახურების განწევს კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შექმნილი სისტემა ახორციელებს იმ სამედიცინო დაწესებულების კონტროლს, რომლებიც ლიცენზირებულია და მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ჯანდაცვის

სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით შექმნილია სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტო, რომლის დებულებითაც პირდაპირ არის განსაზღვრული ვალდებულება, რომ განაცხადება-საჩივრის საფუძველზე მოახდინონ სამედიცინო დანესებულებისა თუ ლიცენზირებული ექიმის მიერ განხორციელებული მკურნალობის მონიტორინგი.

*ადამიანის უფლებათა ცენტრი კონკრეტული საქმეების ანალიზის საფუძველზე წარმოადგენს იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც გამოვლინდა მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების განევისას.*

- არ არის უზრუნველყოფილი ექიმის მიერ პაციენტისათვის ახსნა-განმარტების მიცემა, რომელიც დაკავშირებულია მკურნალობის მიმდინარეობასთან და შესაძლო რისკებთან.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის I პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ. აუცილებელი, კანონით გათვალისწინებული ახსნა განმარტებების მიცემის იგნორირება დაუშვებელია.

- არ ხდება სამედიცინო დოკუმენტაციის- სამედიცინო ისტორიის სწორად, მიმდინარე და განხორციელებულ პროცედურებთან შესაბამისად წარმოება.
- ქირურგიული ჩარევისას არასრულყოფილად ხდება ანესთეზიის შესახებ მოსალოდნელი რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- პაციენტის გარდაცვალების შემდგომ არ ხდება ეგსპუმაციისა და ექსპერტიზის შეთავაზება და უარის არსებობის შემთხვევაში, წერილობით გაფორმება;

- მთავარი პრობლემა არასწორი დიაგნოზი, შესაბამისად - არასწორად წარმოებული მკურნალობაა;

პრობლემის გამოვლენის შემდეგ პირველი საფეხური სწორედ განცხადება-საჩივრის შეტანაა სამედიცინო რეგულირების სახელმწიფო სააგენტოში, რომელიც განცხადება-საჩივრის საფუძველზე მოახდენს კონტროლს სამედიცინო დაწესებულებისა თუ ლიცენზირებული ექიმის მიერ განხორციელებული მკურნალობაზე.

საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 104-ე მუხლის შესაბამისად, პაციენტს, მისნათესავსან კანონიერწარმომადგენელს უფლება აქვს, ექიმს, ექთანს, მედიცინის სხვა მუშაკს ან სამედიცინო დაწესებულებას უჩივლოს სამედიცინო დაწესებულები სადმინისტრაციაში, ჯანმრთელობის დაცვის მართვის ორგანოში, სასამართლოში, ან დავის განმხილველ სხვა ორგანოში.

საქართველოს კანონის - „პაციენტის უფლებების შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად: პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დამოუკიდებლად ან კომპენსაციონებრივი და არაქონებრივი ზიანი სა, რომლებიც გამონწვეულია:

- პაციენტის უფლებების დარღვევით;
- მცდარ სამედიცინო ქმედებით;
- სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით;
- სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობით;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, *პირი რომელიც სხვა პირს, მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებლობით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.*

ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიერ განეული მომსახურებით დამდგარი შედეგი ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ, თუკი ის ასეთად გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით.

ამავე კოდექსის 1007-ე მუხლის მიხედვით, **სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგის შესაბამისად პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით.** ზიანის მიყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს რომ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის.

მტკიცებისტვირთი, რომ მიყენებულ ზიანისამედიცინოდაწესებულებასბრალიარმიუძღვის, აკისრიათავადსამედიცინოდაწესებულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის განსაზღვრავს, **იმპირმა, რომელიცვალდებულიაანაზღაუროსზიანი, უნდააღადგინოსისმდგომარეობა, რომელიცარსებებდა, რომარდამდგარიყოანაზღაურებისმავალდებულებელიგარემოება.**

თუსხეულისდაზიანებითანჯანმრთელობისათვისგზებისმიყენებისშედეგადდაზარალებულსწაერთვამრომისუნარიანშეუმცირდაიგი, ანდაიზრდებამისიმოთხოვნილებები, დაზარალებულსუნდააუნაზღაურდესზიანიყოველთვიურისარჩოსგადახდით.

დაზარალებულსუფლებააქვს, მკურნალობისხარჯებიმოითხოვოსწინასწარ. იგივენესიმოქმედებსმაშინაც, როცააუცილებელიხდებაპროფესიულიგადამზადება.

სარჩოსნაცვლადდაზარალებულსშეუძლია, მოითხოვოსკომპენსაცია,თუარსებობსსაამისომნიშვნელოვანისაფუძველი.

მატერიალური ზიანი მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც უკვე განეულია პაციენტის მიერ და ასევე - ხარჯებს, რომლებსაც სამომავლოდ საჭიროებს პირი. ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულების დაკისრება, ზოგადად, ყოველთვის მოიაზრებს დაზარალებულის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში პირის

ჯანმრთელობისათვის არის ვნება მიყენებული და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა თითქმის შეუძლებელია, ზიანის ოდენობა დგინდება ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება-აღდგენისათვის უკვე განუვლი და სამომავლოდ აუცილებლად გასაწვევი ხარჯების გათვალისწინებით.

სხეულისდაზიანებისანჯანმრთელობისათვისვნებისმიყენებისშემთხვევებში, დაზარალებულსშეუძლია, მოითხოვოსანაზღაურებაარაქონებრივიზიანისთვისაც. ზიანისოდენობისგანსაზღვრისასშხედველობაშიამისაღებისინტერესი, რაცკრედიტორსჰქონდავალდებულებისჯეროვანიშესრულებისმიმართ. ზიანისოდენობისდასადგენადგასათვალისწინებელია ხელშეკრულებისშესრულებისდროდაადგილი.

### **ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეების მოკლე მიმოხილვა 2014-2018 წლებში**

- ✓ *ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება კლინიკა „ლანცეტში“ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.*

კლინიკა „ლანცეტში“, ლვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის შედეგად 2016 წლის 10 თებერვალსგარდაიცვალა პაციენტი -კ.კერთი თვის შემდეგ - 2016 წლის 15 მარტსკიდევ ერთი პაციენტი გარდაიცვალა - გ.ჩ

ადამიანის უფლებათა ცენტრმა საკითხის შესწავლისათვის მიმართა სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს, რომლის დასკვნის თანახმად,საავადმყოფოში შეყვანიდან გარდაცვალებამდე გ.ჩ.-ს და კ.კ.-ს მკურნალობა და სამედიცინო მანიპულაციების მთელი ისტორიანარმოებელია კანონმდებლობის სრული უგულვებლყოფით. გადანერგვის ოპერაცია წარმოებულია ისე, რომ არ არის მიღებული „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული ტრანსპლანტაციის საბჭოს თანხმობა, რითაც დარღვეულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ოპერაცია განახორციელეს ექიმებმა, რომელთაც არ გააჩნდათ საქართველოსსახელმწიფოსერთიფიკატარცერთსაექიმოსაქმიანობაში,რითაცდარღვ

ეულია „საექიმოსაქმიანობისშესახებ“ საქართველოსკანონისმე- 11 მუხლისმე-5 პუნქტისმოთხოვნები და ფაქტობრივად, ადგილი ჰქონდა უკანონოსაექიმოსაქმიანობას. ნათლად დასტურდება, რომ დაცული არ იყო ყველა ის პროცედურა, რაც ტრანსპლანტაციისათვის არის საჭირო.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს2016 წლის 19 მაისსმიმართა მოთხოვნით, კლინიკა „ლანცეტისთვის“ აეკრძალა ტრანსპლანტაციის (ადამიანის ორგანოთა გადანერგვის) ოპერაციების ჩატარება.სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ ადამიანის უფლებათა ცენტრის მოთხოვნა 2016 წლის 28 სექტემბერს დააკმაყოფილა.

კლინიკა „ლანცეტში“ პაციენტების გარდაცვალების ფაქტებთან დაკავშირებითადამიანის უფლებათა ცენტრმა,ასევე, მიმართა საქართველოს პროკურატურას, რადგან საქმეზე იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაული ნიშნები.

საქართველოს პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, პაციენტებისგან დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლებისა და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვის ფაქტზე, დააკავა სამედიცინო დანესებულება შპს „ლანცეტის“ დირექტორი ფ.ჯ. დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 247-ე მუხლის I ნაწილით.სასამართლოს განაჩენით, კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორს,ფ.ჯ-სეფესინლითათვისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

- ✓ ახალშობილის მიმართ სამედიცინო პერსონალის მხრიდან არ განხორციელდა დროული და შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი სამართლებრივ დახმარებას უწევს მოქალაქე გ.დ.-ს, რომლის ვაჟი - ნ.დ. 2014 წლის მარტიდან დღემდე იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში იაშვილის კლინიკის რეანიმაციის პალიატიურ განყოფილებაში.

2016 წლის დეკემბრის თვეში გაცემულიასაქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დასკვნა, რომლის თანახმად, **სამედიცინო საქმის შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გამო, სააგენტოს მიერ, დაისვა საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, შპს „მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს“ ექიმების: მ.ფ-ის, გ.ბ-ის, დ.ფ-ის, ლ.მ-ის და ნ.ე.-ის პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ.**

2014 წლის 26 მარტს პაციენტი, 3 თვის ჩვილი- ნ.დ. სუნთქვის მწვავე უკმარისობით შევიდა იაშვილის კლინიკაში და მოთავსდა რეანიმაციულ განყოფილებაში. იგი „პედიატრიულ პრივატ კლინიკაში“ რამდენჯერმე გასინჯეს ნერვოპათოლოგებმა და დაადგინეს, რომ ნერვული დარღვევები არ აღენიშნებოდა. აგრეთვე, ორივე ფილტვის მდგომარეობა იყო პათოლოგიის გარეშე.

იაშვილის კლინიკის სამედიცინო პერსონალმა არგაატარა დროული ღონისძიებები, რამაც გამოიწვია პაციენტის მდგომარეობის დამძიმება. დღეის მდგომარეობით, პაციენტი იაშვილის საავადმყოფოს რეანიმაციურ განყოფილებაში იმყოფება აპარატულ რეჟიმზე კომატოზურ მდგომარეობაში. ადგილობრივი და სხვა ექიმების განმარტებით, მდგომარეობა შეუქცევადია. **პროფესიული განვითარების საბჭო ნ.დ.-ის საქმეზე, ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის გადანწყვეტის მიზნით, შეიკრიბა 2018 წლის 6 დეკემბერს. საბჭოს გადანწყვეტილებით, ექიმ მ.ფ-ს შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება 2 თვის ვადით, ექიმ გ.ბ-ს - 1 თვის ვადით, ხოლო ექიმებს - დ.ფ-სა და ლ.მ-ს მიეცა წერილობითი გაფრთხილება.**

როგორც, სამედიცინო დოკუმენტაციიდან ჩანს და როგორც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დასკვნაშია ასახული, თვეების ჩვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესი დამძიმება გამოწვეულია ექიმების მიერ აუცილებელი ქმედებების

დაგვიანებით შესრულებით და მათი საქმისადმი არაკომპეტენტური და გულგრილი დამოკიდებულებით.

2017 წლის აგვისტოს თვეში თბილისის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე.

✓ ექიმებმოსალოდნელისკებს არასათანადოდ აფასებენ

2017 წლის 12 ივნისს პაციენტ ე.ე.-ს ჩაუტარდა მარჯვენა ბარძაყის შუა მესამედის ღონებე ამპუტაცია სისხლძარღვების ათეროსკლეროზის და ოკლუზიის გამო.

10 დღეპაციენტს ჰქონდა ცხელება 39 გრადუსამდე. დინამიკაში გამოვლინდა სუნთქვის გაძნელება, ხველა. პაციენტი 112-ის ბრიგადამ 06.10.2017 10:33 გადაიყვანა გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში. სიმძიმის გამო, იგი მოთავსდა რენიმაციულ განყოფილებაში, მაგრამ - უშედეგოდ. დათქმული იქნა გულის გაჩერება. ჩატარებული რენიმაციული ღონისძიებები არაეფექტიანი აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია სიკვდილი.

✓ ლეტალური შედეგები ექიმების არაკვალიფიციურობისმიზეზით

ადამიანის უფლებათა ცენტრს სამ სხვადასხვა საქმეზე მიმართეს გარდაცვლილი პაციენტების ოჯახის წევრებმა, რომლებიც საუბრობენ სამედიცინო პერსონალის არაკვალიფიციურობის საკითხზე, რამაც გამოიწვია პაციენტების სიკვდილი.

2016 წლის 16 აპრილს სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გ.ჯ. გადაიყვანა კლინიკა „ჰელსიკორში“, სადაც ექიმების მიერ ჩატარებული მკურნალობის გამო 2016 წლის 17 აპრილს პაციენტს ჯანმრთელობა გაუუარესდა და 25 აპრილს გარდაიცვალა.



პაციენტი გ.ჯ. გარკვეული პერიოდულობით იტარებდა ყველა საჭირო სამედიცინო გამოკვლევას. 2016 წლის 16 აპრილს გ.ჯ.-ს საკვების გადაცდენის შედეგად დაენყო ხველა. იმავე დღეს, 19:00 საათზე ოჯახის ექიმმა მ.გ.-მ კარდიოგრამის ჩატარების შემდგომ პაციენტის ოჯახს განუმარტა, რომ გ.ჯ. რადგანაც იყო ასაკოვანი, სუნთქვის პრობლემის მოსაგვარებლად, სასურველი იყო, მისთვის უანგბადი ხელოვნურად მიეწოდებინათ. ექიმმა პაციენტს დაუყენა გადასხმის სისტემა. პაციენტი ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იყო თითქმის სამისაათი. ოჯახის ექიმის წასვლის შემდგომ, 23:00 საათზე ოჯახმა გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. სასწრაფო დახმარების ექიმებმა პაციენტს მისვლისთანავე დაუწყეს შარდმდენი პრეპარატით - „ლაზექსით“ მკურნალობა. ოჯახის წევრებმა ექიმს განუმარტეს, რომ პაციენტს დღის განმავლობაში გაკეთებული ჰქონდა გადასხმა და ოჯახის ექიმის რეკომენდაციით, აუცილებელი იყო უანგბადის ხელოვნური მიწოდება. სასწრაფო დახმარების ექიმებმა არ მოახდინეს სათანადო რეაგირება მიწოდებულ ინფორმაციაზე. მათ პაციენტი გადაიყვანეს კლინიკა „ჰელსიკორში“, სადაც ექიმებმა მას გაუგრძელეს „ლაზექსით“ მკურნალობა, რამაც სავარაუდოდ, გამოიწვია პაციენტის მდგომარეობის გაუარესება და გარდაცვალება. ამ ეტაპზე საქმეს რეგულირების სააგენტო და პროკურატურა სწავლობს.

სამედიცინო პერსონალის არაკვალიფიციურობის პრობლემა ჩანს ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ კიდევ ერთ საქმეზე. კერძოდ - ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში 2014 წელს არასწორი სამედიცინო მანიპულაციების შედეგად გარდაიცვალა პაციენტი ზ.გ. შემთხვევა დადასტურებულია სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ. სააგენტომ შეისწავლა საქმის მასალები და დაადგინა მნიშვნელოვანი დარღვევები, რამაც პაციენტ ზ.გ.-ს გარდაცვალება გამოიწვია. საქმე ამჟამად გადაგზავნილია პროკურატურაში და მიმდინარეობს მოკვლევა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ დახმარებას უწევდა პაციენტ მ.ბ.-ს, რომლისთვისაც განეული სამედიცინო დახმარების საკითხი განხილულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე. პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს „ტრავმატოლოგის“ ექიმ ტ.ა.-ს შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება 3 თვის ვადით და დაევალა 1-თვიანი შესაბამისი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა; ექიმ პ.ვ.-ს მიეცა წერილობითი გაფრთხილება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეებიდან ჩანს, რომ სამედიცინო დახმარების ხარისხი არ ესადაგება საერთაშორისო ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს და

საჭიროებს სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან სპეციალურ მონიტორინგს. პროფესიული განვითარების საბჭოს გადანაცვეტილებები შემოიფარგლება მხოლოდ მცირე დროით სახელმწიფო ლიცენზიების შეჩერებით ან გაფრთხილების მიცემით, რაც არარელევანტურია ხშირად იმ შედეგთან, რომელიც დადგა ექიმის ბრალეულობის შედეგად, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა პაციენტის ჯანმრთელობა ან საფრთხე შეუქმნა მის სიცოცხლეს.

### ***მნიშვნელოვანია,***

- *სამედიცინო მომსახურება ეფუძნებოდას სამკურნალო-დიაგნოსტიკურ პროცესზე კონტროლის ეფექტიანად განხორციელებას.*
- *წინასწარ განისაზღვროს სტრატეგიული თუ ოპერატიული ამოცანები.*
- *სამედიცინო მომსახურება იყოს ხარისხზე ორიენტირებული.*
- *პაციენტისთვის მკურნალობისას სასურველი შედეგის მიღების მიზნით, სათანადო მოქმედებები დაიგეგმოს დროულობის, კვალიფიციურობისა და სათანადო ეფექტიანობის გათვალისწინებით.*
- *სამედიცინოპერსონალმაპაციენტებისგან მოიძიოს ადეკვატური ინფორმაცია, რათა სწორად შეფასდეს საჭიროებები და დაიგეგმოს მკურნალობისთვის შესაბამისი მოქმედებები.*

